

გამოცემა იქ. რუსებისა.

სახელმწიფო დუმის

საარჩევნო კანონი

კავკასიონი

38425

(1907 წ. 3 ივნისი).



ბ. უთაისი.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა ი. პილაძისა.

1912 წ.

ମୁଖ୍ୟମନ୍ୟାନ୍ୟମ



ତମିର୍ବାଦାରେଣ୍ଟ

სახელმწიფო დუმის საარჩევნო კანონი ქადაგისამი.

საერთო დებულება.

სახელმწიფო დუმის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა მამაკაცს, რომელთაც 25 წელიწადი შეუსრულდათ.

თავიანთი სამსახურის ადგილას საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან გუბერნატორები, ვიცე-გუბერნატორები, გრადონაჩალნიკები, მათი თანაშემწენი და საზოგადოთ პოლიციის სამსახურში მყოფნი პირნი.

საარჩევნო უფლებას სრულიად მოკლებული არიან:

1. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი;
2. მოსწავლეები;
3. სამსახურში მყოფნი სამხედრო პირები;
4. ისეთი დანაშაულობისათვის გასამართლებული, რომლის შედეგია უფლების ახდა ან შეზღუდვა, ანდა სამსახურიდან გამოგდება, და აგრეთვე ისინი; ვინც გაასამართლეს ქურდობის, ავაზაკობის, ნაპარევის დაფარვის, მიბარებული ქონების მითვისების, მოპარული საქონლის საწინდრაო მიღების ანდა მოტყუებით ქონების მითვისების და მევაზეობისათვის, როცა სასამართლოს დამნაშავე პირისათვის არავითარი უფლება არ აუხდია, მარა ხსე-

ნებულ მოქმედებაში სავსებით მაინც არ გაუმართლებია;

5. ისინი, ვინც სამართალში მიცემული არიან, ან ვისიც საქმე ძიებაშია და აბრალებენ ზემოთ მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულობათა ჩადენას;

6. გაკოტრებული ან გაკოტრებულათ აღიარებული პირები;

7. ისინი, რომელთაც მზრუნველი ყავთ დანიშნული;

8. ისინი, რომლებსაც სამღვდელო ღირსება ახადეს ბიწიერებისათვის და აგრეთვე გამორიცხულნი საზოგადოებათა და სათავადაზნაურო კრებებიდან იმ წოდებათა მიერ, რომელთაც ისინი ეკუთვნიან და

9. ის პირები, რომლებიც სამხედრო სამსახურს დაემალენ და ამისთვის გაასამართლეს.

ერთი ხმის მეტი არჩევნებში ორავის აქვს და არც არავის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამომრჩეველთა ორ სხვა და სხვა კრებაში. მარა თუ ამომრჩეველს საარჩევნო უფლება მოეპოვება რამდენიმე მაზრაში ან ქალაქში, ის ახორციელებს ამ უფლებას მარტივ ერთ რომელიმე ადგილის, რომლის არჩევა მის ნებასურვილზეა დამოკიდებული.

იმ პირთ, რომელთაც უძრავი ქონება აქვთ, და მათ რიცხვში სამხედრო სამსახურში მყოფთაც, შეუძლიათ გადასცენ თავისი საარჩევნო ცენტი შვილებს, ხოლო თუ ასეოი პირები ქალებია— ქმრებს და შვილებს. ასეთი გადაცემის ქაღალდი დამოწმებულ უნდა იქნას ნატარიალური წესით ან პა-

ლიცის მიერ, ან და კიდევ მომრიგებელ მოსამართლის, ქალაქის მსაჯულის და გადამცემი პირის პირდაპირი უფროსის მიერ. უფლება ვერ გადაეცემა იმ პირთ, რომელთაც საარჩევნო უფლება არ აქვთ¹⁾.

საარჩევნო ცხნილი.

ყველა ამომრჩეველი იყოთა კურიებათ და ჯგუფებათ ქონებისა და წოდების მიხედვით, რომელთაც საფუძვლათ უდევთ შესაფერი ცენზი.

ამ კურიებას შეადგინ:

1. მემამულეები;
2. გლეხები
3. ქალაქის მცხოვრებნი და
4. მუშები.

ამ კურიათა გარდა ამიერ კავკასიაში (გარდა შავი ზღვის გუბერნიისა) არსებობს კიდევ ერთი კურია ნაციონალური თვისების მიხედვით, სახელდობრუს ამომრჩეველთა კურია.

1. მემამულეთა კურია.

მემამულე — ამომრჩევლები ორ კატეგორიათ იყოფიან: მემამულეები, რომელთაც უფლება აქვთ პირდაპირ პირადათ მონაწილეობა მიიღონ ვიბორ-შჩიკების ამრჩეველთა კრებაში და ისეთები, რომლებიც ამ კრებაში მონაწილეობას იღებენ არა პირდაპირ, არამედ მათ მიერ არჩეულ რწმუნებულთა შემ-

¹⁾ დებულებები სახელ-დუმის არჩევნებისა მუხ. 9—15 და სენატის განმარტებები.

წეობით. პირველი კატეგორის მემამულეები სრულ ცენზიანებია, მეორენი არა. სრული ცენზიანი მემამულეა, ვინც თავის კუთვნილ მამულზე ან სხვა ქონებაზე (გარდა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებისა) იხდის წლიურათ საერობო გადასახადს არა ნაკლებ 30 მანეთისა. ვინც 30 მანეთზე ნაკლებ საერობო და სახელმწიფო გადასახადს იხდის, ისინი ეკუთვნიან არა სრულ ცენზიანთა კატეგორიას და არჩევნებში მონაწილეობას იღებენ შემდეგ ნაირათ: იკრიბებიან მთავრობის მიერ დანიშნულ ადგილას წინასწარ კრებაზე და ირჩევენ იმდენ რწმუნებულს, რამდენიც სრული ცენზი (30 მან.) შეუდგებათ საერთოთ გადახდილი. მაგალითად, თუ კრებაზე მოსული წვრილი მემამულეები საერთოდ იხდიან 600 მანეთს, ისინი აირჩევებ იმდენ რწმუნებულს, რამდენი 30 არის ექვსასში, ე. ი. 20 რწმუნებულს.

ეს რწმუნებულები მემამულეთა სამაზრო კრებაზე სხვილ მემამულეებთან ერთად ირჩევენ ვიბორუშიკებს. მემამულე ვლეხებს უფლება არ აქვთ მონაწილეობა მიიღონ თავის მაზრის მემამულეთა კრებაში: სხვილ და წვრილ მემამულეთა სიებს ადგენენ და ინახავენ ამიერ კავკასიაში სამაზრო და საოლქო სამართველოებში.

წინასწარ კრებებზე თავმჯდომარეობს თავადაზნაურობის სამაზრო წინამძღვრლი, ხოლო იქ, სადაც ასეთი არ არის, საოლქო სასამართლოს მიერ დანიშნული მომრიგებელი მოსამართლე.

ამ წინასწარ კრებაზე არჩევნები ხდება ფარუ-

ლი კენჭის ყრით, თუ სიაში შეტანილ წვრილ მე-
მამულეთა რიცხვი 500 არ აღემატება, ხოლო სა-
დაც 500 ზე მეტია, იქ არჩევნები სიებით ხდება.
ამისათვის, რასაკვირველია, სავალდებულო არაა,
რომ კრებაზე 500-ვე ამომრჩეველი გამოცხადდეს. სა-
ჩივარი რწმუნებულთა უკანონოთ არჩევის შესახებ
შეტანილ უნდა იქნას არჩევნების დათავებიდან 3
დღის განმავლობაში მაზრის საარჩევნო კომისიაში¹⁾.

2. გლეხთა კურია.

თვითეული სოფელი, გარდა ბათუმისა და ყარ-
სის ოლქისა, ყოველ ათ კომლზე ირჩევს თითო
კაცს. სოფელი, რომელშიაც 10 კომლზე ნაკლე-
ბია, ირჩევს ერთს.

რამდენიმე სოფლის არჩეულები იკრიბებიან
ერთად იმ სოფლის მამასახლისის თავმჯრომარეობით,
სადაც კრებაა მოწვეული. ასეთი კრება ირჩევს ორ-
ორ რწმუნებულს.

ბათუმის და ყარსის ოლქებში რწმუნებულებს
ირჩევს სოფლის ყრილობა, თვითეული მათგანი ორ-
ორ კაცს. რწმუნებულებს ირჩევენ ფარული ხმის
მიცემით. არჩევნების შესახებ განაჩენი 24 საათის
განმავლობაში უნდა წარუდგინოს მამასახლისმა პირ-
დაპირ სამაზრო საარჩევნო კომისიას პოლიციურ და-
წესებულებათა დაუხმარებლათ. ამ განაჩენის გან-
ხილვა კანონით არ ევალება ბოქაულს, მაზრის უფ-

¹⁾ დებულებები სახ. დუმ. არჩევ. მუხ. 62, 97, 98,
112, 152, 157—158, 164 და 166.

როს ან პოლიციაში სხვა მოსამსახურე პირთ.

რწმუნებულთა უკანონო არჩევნების შესახებ
საჩივარი უნდა შეტანილ იქნას ვ დღის განმავლო-
ბაში სამაზრო საარ. კომისიაში, ან და წარედგინოს
მამასახლისს, რომელმაც დაუყონებლივ უნდა გადა-
სცეს იგი კომისიას.

ამ გზით არჩეული გლეხთა რწმუნებულები მოე-
ლი მაზრისა (ან ოლქისა) იკრიბებიან სამაზრო ქა-
ლაქში საგუბერნოო კრებაზე ვიბორში კების ასარ-
ჩევათ. რწმუნებულთა ამრჩეველ ყრილობებს შეუძ-
ლიათ მისცენ მათ სახარჯო, საჭირო სამაზრო ქალა-
ქში მისასვლელათ და უკან დასაბრუნებლათ.

3. ქალაქის ამომრჩეველთა კურია.

ქალაქის ამომრჩევლებათ ითვლებიან ის პირები:

1. რომლებიც ერთი წლის განმავლობაში მაზ-
რაში მდებარე ქალაქებში ფლობდენ უძრავ ქონე-
ბას, რომელზედაც შეწერილია საქალაქო ან საე-
რობო გადასახადი;

2. რომლებსაც აქვთ მაზრაში სავაჭრო სამრე-
წველო დაწესებულება, რისთვისაც საჭიროა სამრე-
წველო მოწმობის იღება;

3. რომლებიც ერთი წლის განმავლობაში მა-
ზრის ფარგლებში იხდიდენ პირად სამრეწველო გა-
დასახადს;

4. რომლებიც იხდიდენ ერთი წლი განმავლო-
ბაში ბინის (სახელმწიფო) გადასახადს;

5. რომლებიც ქირაობდენ ცალკე ბინას და

6. ის პირები (გარდა სალდათებისა და იმ მუშებისა, რომლებიც მუშათა კურიაზე არიან მიწერილი), რომლებიც ცხოვრობდენ მაზრაში ერთი წელიწადი და ღებულობდენ ჯამავის ან პენსიას, სახელმწიფო, საქალაქო, საერობო ან წოდებრივ დაწესებულებებში სამსახურისათვის და აგრეთვე რკინის გზის მოსამსახურეები.

ქალაქთა რიცხვშია შეტანილი დაბები: ართვინი (ბათუმის ოლქში), ზუგდიდი და სოხუმი (ქუთაისის გუბერნიაში), სალიანი (ბაქ. გუბ.), ყაგიზმანი, არდალანი და ოლთა (ყარსის ოლქში).

ქალაქის ამომრჩეველთა სიებს აწარმოებენ ქალაქის უპრავები, ხოლო ყრსის ოლქის ქალაქებში, სალიანში (ბაქ. გუბ.) და ქალაქ ზაქათალაში—საპოლიციო დაწესებულებები. ქალაქის ყველა ამომრჩეველი, გარდა პენსიონერებისა და ბინის იმ დამჭირავებელთა, რომლებიც ბინის გაუასახადს არ იხდიან, სიაში შეტანილ უნდა იქნან მათდა გაუცხადებლათ. სიების შემდგენელ დაწესებულებებს მათ შესახებ საჭირო ცნობებს აწვდიან: სახაზინო პალატები, რკინის გზის სამართველოები და ხარჯების ამკრეფი ინსპექტორები. რაც შეეხება პენსიონერებს და ბინის დამჭირავებლებთ, რომლებიც ბინის კადასახადს არ იხდიან, მათ თვითონვე უნდა შეიტანონ განცხადება მათი სიაში ჩაწერის შესახებ.

ამისათვის საჭიროა მოწმობის წარდგენა—პირველთაგან, რომ ისინი მართლა ღებულობენ პენსიას, ხოლო უკანასკნელიაგან, რომ ისინი მართლა

ქირაობენ ბინას. უკანასკნელ გარემოებას ამოწმებს პოლიცია, ანდა სახლის პატრონთან დადებული პი-რობა ბინის დაქირავების შესახებ. პოლიციას უფ-ლება არ აქვს ვინმდეს უარი უთხრას ასეთი მოწმო-ბის მიცემაზე.

ეს განცხადებები უნდა შეტანილ იქნას სიების გამოცხადებამდი ქალაქის უპრავაში (საღაც ასეთები არაა, იქ საპოლიციო დაწესებულებებში), ხოლო სიების გამოცხადების შემდეგ ორი კვირის ვადაში — სამაზრო საარჩევნო კომისიაში.¹⁾

ბინის დამახასიათებელ თვისებებათ ითვლება ცალკე მისავალი საკუთარი, სამზარეულო ანდაცულ-კე კერა, საღაც საჭმელი მზადდება, თან მას სხვა ბინასთან პირდაპირი კავშირი არ უნდა ქონდეს.

ამ ნაირათ თვითეული მაზრის ამომრჩევლები აუცილებლათ იყოფიან სამ კურიათ, რომლებიც იკრიბებიან სამაზრო ქალაქში და ირჩევენ ვიბორშიკებს საგუბენიო კრებაზე.

ყველა ამ ამომრჩეველთა სიები იბეჭდება აღ-გილობრივ უწყებებში და აგრეთვე არჩევნებამდი 4 კვირით აღრე უნდა გამოკიდებულ იქნას გა-მოსახენ აღგილზე იმ დაწესებულებებში, რომლებიც ასეთ სიებს ადგენენ

სიებში არ შეტანილი პირები ან ისინი, რო-მელთაც დაკარგეს საარჩევნო ცენზი, არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობენ. საჩივრები სიებში

¹⁾ აი ფორმულა განცხადებისა: Въ №—ую Город-скую Управу (фамилія, имя, отчество, вѣроиспо-

Шефъаნъис Шефаѣгъ ўнда миуциес სამაზრო სარჩ. კო-
місісаს ორი კვირის განმავლობაში დღიდან მათი
გამოქვეყნებისა.

საჩივრები არჩევნების უკანონოთ მოხდენაზე
არჩევნების მსვლელობას არ აჩერებს¹⁾).

4. მუშების კურია.

ზოგიერთ გუბერნიაში არსებობს მუშათა ცალ-
კე კურია. კავკასიაში ასეთი ადგილებია ბაქოს,
თფილისის და შავიზლვის გუბერნიები, ბათუმის და
ყუბანის ოლქები.

მუშათა კურიას ეკუთვნიან მუშები იმ ფაბრიკა-
ჭარხნებისა, სამთო-სამრეწველო დაწესებულებებისა
და რკინის გზის სახელოსნოებისა, რომლე-
ბშიაც ითვლება არანაკლებ 50 მუშა—მამაკ-
ცისა. მუშები რწმუნებულებს ირჩევენ ასე: დაწესე-
ბულებებში, სადაც 50—1000-მდი მუშაა—ერთ
რწმუნებულს, ხოლო სადაც მეტია, იქ თითეულ

вѣданіе, національность) проживающаго на ул.

• . . . д. № . . .

ЗАЯВЛЕНИЕ.

Желая воспользоваться правомъ участія въ вы-
борахъ въ Государственную Думу, какъ лицо, нани-
мающее на свое имя отдельную квартиру не менѣе
года, прошу Управу внести меня въ избирательный
списокъ. При семъ представляю удостовѣреніе по-
лиціи о наймѣ квартиры (или договорную книжку о
наймѣ квартиры).

Городъ N . . мѣсяцъ . . . 1912 года.

¹⁾ დებ. სახელ. დუმის არჩ. მუხ. 32, 33, 53, 56,
57, 59, 60, 63—70, 159, 164—165.

ათასზე თითო რწმუნებულს. მაგალითად დაწესებულება, სადაც 50 მამაკაცი მუშაობს და ის დაწესებულება, სადაც 1999 მუშაობს, თითო რწმუნებულს აირჩევს.

რწმუნებულათ აირჩევა მუშა—მამაკაცი, რომელიც არანაკლებ 6 თვისა მუშაობდა იმ დაწესებულებაში, სადაც არჩევნები ხდება. როვორც რწმუნებული ისე ამომრჩევლები ხნით 25 წელიწადზე ნაკლები არ უნდა იყვენ.

მუშათა კურიაში მყოფი მუშები მოკლებული არიან უფლებას მონაწილეობა მიიღონ სხვა რომელიმე კურიაში, თუ გინდ ამისათვის საჭირო ცენზიც ჰქონდეთ. მაგ. მუშა—ბინის დამჭირავებელი, თუ იგი მუშათა კურიაშია, ქალაქის არჩევნებში ხმას ვერ მისცემს, როგორც ბინის დამჭირავებელი. მხოლოდ იმ მუშებს შეუძლიათ სხვა კურიებში მონაწილეობა მიიღონ (ოუ, რასაკვირველია, შესაფერი ცენზი აქვთ), რომელებიც წვრილ (სადაც 50 მუშა—მამაკაცზე ნაკლები მუშაობს) დაწესებულებებში მუშაობენ და ამ ნაირათ მუშათა კურიაში არ შედიან.

მუშა ამომრჩევლების სიებს აქვეყნებს გუბერნატორი; ცალკე დაწესებულებებში ასეთივე სიები გამოკიდებულ უნდა იქნას ამ დაწესებულებათა უფროსებისაგან.

რწმუნებულთა არჩევნები მთელ გუბერნიაში შეძლებისა დაგვარათ ერთ დღეს ხდება. ფაბრიკა-ქარხნებში არჩევნების წესს თვითონ მუშები ამყა-

რებენ. არჩევნების სახელმძღვანელოთ და წესიერების დასაცავათ მუშები თავიანთი წრიდან ირჩვენ ერთს ან რამოდენიმე თავმჯდომარეს. დაწესებულებათა პატრონები ვალდებული არიან მუშებს მისცენ ცალკე ბინა არჩევნებისათვის, სადაც გარეშე პირები არ უნდა შევიდენ. არჩეულ რწმუნებულთა სიას ხელს აწერს თამჯდომარე და 10 ამორჩეველი მუშა მარც. ეს სიები ეძლევა დაწესებულების გამგეობას, რომელიც დაუყონებლივ უნდა გაეგზავნოს გუბერნატორს, ხოლო მათი კოპიო უნდა გამოიკიდოს გამოჩენილ ადგილის, რომ მუშები გაეცნენ მას. სიაში უნდა აღინიშნოს, სახელი, და გვარი, მამის სახელი, წოდება და ხნოვანება რწმუნებულისა. ასეთი სიები ქვეყნდება გუბერნატორის მიერ.

საჩივრები უკანონო არჩევნების შესახებ უნდა შეტანილ იქნას საგუბერნიო საარ. კომისიაში, სადაც შედის ასეთი საჩივრების განსახილველათ საფაბრიკო ინსპექციის ან სამთავ ზედამხედველობის ერთ—ერთი წარმომადგენელი.

რწმუნებულებს ხაზინიდან ეძლევა გზის ფულათ იქით-აქეთ ვერსზე შაური, თუ ისინი ამას მოითხოვენ¹).

5. რუსების კურია

ამიერ კავკასიის რუსი ამომრჩევები (გარდა შავიზლვის გუბერნიისა და მუშებისა, რომლებიც

¹⁾ დებ. სახ. დუმ. არჩევნების, მუხ. 43-44, 61, 90-95

მუშათა კურიაში იღებენ მონაწილეობას) გამოყოფილი არიან ცალკე კურიათ და ირჩევენ ერთ დეპუტატს.

რუს ამომრჩეველთა კატეგორიას ეკუთვნიან ყველა რუსები და აგრეთვე ნამესტნიკის განმარტებით (რის უფლებასაც მას კანონი ანიჭებს) ყველა არა ადგილობრივი მკვიდრი მართლმადიდებელ, სტარობრიდულ და ლიუტერანულ სარწმუნოებისა; ამათ რიცხვში: ნემეცები, ესტები, ლატიშები, ჩეხები, მართლმადიდებელი პოლონელები და ბერძნები.

რუსი ამომრჩევლები ორ კატეგორიათ იყოფიან: ქალაქისა და სოფლის ამომრჩევლებათ. სულ რუსი ამომრჩევლები ირჩევენ 70 ვიბორშჩიკს. ბაქოს გუბერნია ირჩევს 21 ვიბ. განჯის — 6, თფილის — 21, ქუთაისის — 2, ერევნის — 4, ბათუმისა და სოხუმის ოლქები — 5, დაღესტნის ოლქი — 4 და ყარსის — 6. ეს 70 ვიბორშჩიკი იქრიბება თფილისში და ირჩევს ერთ დეპუტატს.

ვიბორშჩიბების არჩევა

ზემოთ აღნიშნული კურიები იკრიბებიან ცალ-ცალკე და ირჩევენ კანონით დაწესებულ რიცხვს ვიბორშჩიკებისას. მთელ კავკასიაში ირჩევა 486 ვიბორშჩიკი რუსის კურიითურთ, ეს ვიბორშჩიკები გუბერნიებში ასე განაწილდებიან:

1. ყუბანის ოლქში და შავრზლვის გუბერნიაში სულ 102 ვიბორშჩიკია; ამათში 10 გლეხები ირჩევენ, 45 კაზაკების სტანიცები, 31 მემამულეები,

14 მოქალაქეები და მუშები 2.

2. თერგის ოლქში 49 ვიბორშჩიკია. გლეხები ირჩევენ 10, კაზაკების სტანიცები 15, მემამულეები 18, მოქალაქეები 6 ვიბ.

3. თფილისის გუბერნიაში 57 ვიბორშჩიკია. ამათში გლეხები ირჩევენ 12, მემამულეები 29, ქალაქები 14 და მუშები 2.

4. ქუთაისის გუბერნიაში 38 ვიბორშჩიკია. გლეხებიდან 9, მემამულეებიდან 22 და ქალაქებიდან 7.

5. დაღესტნისა და ზაქათალის ოლქებში 33 ვიბორშჩიკია. ამათში გლეხებიდან 24, მემამულეებიდან 4 და ქალაქებიდან 5.

9. ბაქოს გუბერნიაში 38 ვიბორშჩიკია. გლეხებიდან 10, მემამულეებიდან 12, ქალაქებიდან 12 და მუშებიდან 4.

7. განჯის გუბერნიაში სულ 36 ვიბ. მათშორის გლეხების არჩეული 9, მემამულეების 22 და ქალაქების 5.

8. ერევნის გუბერნიიში ვიბორშჩიკების რიცხვი უდრის 35. გლეხებიდან 14, მემამულეებიდან 16 და ქალაქებიდან 5.

9. ყარსის ოლქში 13 ვიბ., მათშორის გლეხები ირჩევენ 9 და ქალაქები 4.

10. ბათუმის და სოხუმის ოლქებში სულ 15 ვიბორშჩიკია. ამათში გლეხებია 5, მემამულეები 4, მოქალაქენი 5 და ერთიც მუშა.

გლეხ და მემამულე აშომრჩევლების კრებას იწვევს და თავმჯდომარეობს თავადაზნაურობის წი-

მძღოლი და საღაც ასეთი არაა, იქ დანიშნული მომრიგებელი მოსამართლე; მუშათა და ქალაქის ამომრჩეველთა სიეზდებს თავმჯდომარეობენ ქალაქის თავები ან და მათ მაგიერი პირები. თუ რომ მელიმე კატეგორიის ამომრჩეველთა კრებაზე თავადაზნაურობის წიანმძღოლს ან ქალაქის თავს არ შეუძლიათ თავმჯდომარეობა გასწიოს, მაშინ თავმჯდომარეს გუბერნატორი ნიშნავს ამომრჩეველთაწრიდან.

როგორ ირჩევენ ვიბორშჩიკებს? ირჩევენ ყველგან ფარული ხმის მიცემით; მარა ისეთ საარჩევნო კრებაზე, რომლის სიაში 500 ამომრჩეველზე ნაკლებია, არჩევნები ხდება კენჭებით, ხოლო საღაც ამაზე მეტია — ბარათებით.

პირველი კატეგორიის კრებები ასეთი წესით ხდება: კრება იხსნება დღის 12 საათზე; თავმჯდომარე კითხულობს არჩევნების შესახებ კანონებს და ამომრჩეველთა სიას. შემდეგ დგება ოქმი კრებაზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რიცხვის შესახებ და უდგებიან კანდიდატების არჩევას იმ პირთა წრიდან, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ. სიეზდი (კრება) მანამ გრძელდება, სანამ კენჭი არ უყრიან ყველა კანდიდატებს, რომელთაც კი ამის სურვილი განაცხადეს. კრების გახსნის შემდეგ გამოცხადებულ ამომრჩეველს კრებაზე აღარ დაუშვებენ.

ვიბორშჩიკობაზე კენჭი მხოლოდ იმ პირს ეყრება, რომელთაც ამაზე თანხმობა განუცხადეს

თავმჯდომარეს. არჩეულათ ითვლება ის, ვინც ნახევარზე მეტი ხმა მიიღო; თუ კანდიდატებს თანასწორათ მოუვიდათ ხმა მაშინ საკითხი წილის ყრით წყდება. თუ პირველ დღეს საჭირო რიცხვი ვიბორში კვებისა არ აირჩა, მეორე დღეს ინიშნება დამატებითი არჩევნები და არჩეულათ ითვლება ის, ვინც შედარებითი უმრავლესობას მიიღებს.

შავი და თეთრი კენჭების რიცხვი. რომელიც კანდიდატმა მიიღო, იწერება ცალკე ფურცელზე, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სურვილისამებრ ამომრჩევლები. ხმის დასათვლელათ თავმჯდომარის დამხმარეთ კრება ირჩევს განსაკუთრებულ დამთვლელებს თავის წრიდან.

საარჩევნო სიეზდზე ყოფნის უფლება აქვს მხოლოდ თავმჯდომარეს და ამომრჩევლებს; სხვაბს აკრძალული აქვთ კრებაზე დასწრება. ამომრჩევლის პიროვნებისა და უფლების შემოწმება თავმჯდომარეს ენდობა.

საარჩევნო კრებები მხოლოდ არჩევნებს ახდენენ; სხვა მსჯელობა ან განკარგულება გარდა არჩევნების შესახები, მათ არ ევალებათ. კრების დახურვის შემდეგ არა უგვიანეს მეორე დღისა მთელი საარჩევნო საქმე თავმჯდომარემ უნდა წარუდგინოს. სამაზრო საარჩევნო კომისიას, ხოლო მუშათა არჩევნების შესახებ—საგუბერნიო კომისიას. ამავე კომისიებში შეაქვთ საჩივრები 3 დღის ვადაში უკანონო არჩევნების შესახებ.

იმ შემთხვევაში, როცა აუქმებენ ცალკე ვი-

ბორშჩიკების არჩევნებს და არა ყველასი ერთად, მათ ადგილს იჭერენ შემდეგი პირები, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს და რომლებიც არჩევნების დროს არ გაუშავებიათ. თუ ასეთი პირები არ არიან, ან თუ მთელი არჩევნები გაუქმდა, ამ შემთხვევაში ინი შენება დამატებითი ან ახალი არჩევნები.

მეორე კატეგორიის კრებაზე, თუ სა- არჩევნო სიაში შეტანილია არა ნაკლებ 500 ამო- მრჩევლისა, არჩევნები ამ ნაირათ ხდება.

ვიბორშჩიკებს ირჩევენ ფარული ხმის მიცემით ბარათების შემწეობით, ე. ი. საკანდიდატო კაცებს სწერენ საარჩევნო ბარათებზე; თვითეულ ამომრჩე- ველს პირადათ მიაქვს ყუთთან ბარათი, რომელში- აც აღნიშნულია ასარჩევი პირების სახელი და გვა- რი. ამ პირების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ასარჩევ ვიბორშჩიკთა რიცხვს. ბარათები უნდა ჩა- იგდოს დაკილტულ და დაბეჭდილ ყუთებში. ბარა- თების მიცემა გრძელდება ერთ დღეს, იწყება დი- ლის 9 საათიდან და თავდება სალამოს 10-საათზე. ბარათების მისაღებათ და დასაოვლელათ უნდა შე- დგეს კომისია კრების თავმჯდომარისა და მის მიერ ამომრჩეველთა წრიდან აყვანილ პირებისაგან, რო- მელთა რიცხვი სამზე ნაკლები არ უნდა იყოს. ხმე- ბის დათვლა არჩევნების მეორე დღეს დილის 9 საათიდან უნდა მოხდეს. დათვლის შემდეგ დგება ოქმი, თუ ვის რამდენი ხმა ამოუციდა; ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე, კომისიის წევრები და სურ- ვილისამებრ აგრეთვე იქ დამსწრე ამომრჩევლები.

არჩეული ვიბორშჩიკების შესახებ ცნობა დაუყონებლივ ეგზავნება სამაზრო კომისიას, და თუ არჩეულმა პირებმა 3 დღის გამავლობაში უარი არ გა-აცხადეს, ისინი არჩეულათ ითვლებიან. დანარჩენებში მეორე კატეგორიის კრებათა არჩევნები, გარდა ქალაქის არჩევნებისა, ისეთივეა, როგორიც პირველი კატეგორიის. გამონაკლის შეადგენენ ქალაქის ამომრჩეველთა კრებები, რომელთა სიაში 500 მეტი ამომრჩეველია. ქალაქის არჩევნების შესახებ კანონის დამატებათ მთავრობამ 1907 წ. 27 ავგისტოს გამოსცა სპეციალური ინსტრუქცია, რომელიც აღმატება ქალაქის დარჩება მეოთხე დუმის არჩევნების დროსაც.

კანონისა და ამ ინსტრუქციის ძალით ქალაქებში არჩევნები ასე ხდება:

არჩევნებამდი არა უგვიანეს ერთი კვირისა, ქალაქის ამომრჩეველს ეგზავნება ქალაქის უპრავისაგან ან მის სამაგიერო დაწესებულებისაგან მის სახელზე განსაკუთრებული განცხადება არჩევნების დროისა და ადგილის შესახებ და ორი კონვერტი საარჩევნო ბარათისათვის (ერთი იმ შემთხვენისთვის, თუ დამატებითი არჩევნები დაინიშნა, ამიტომ ამომრჩეველმა ის უნდა სუფთად შეინახოს).

ქალაქის უპრავას შეუძლია ამომრჩევლებს ამასთან ერთად საარჩევნო ბლანკებიც გაუგზავნოს, თუმცა ამომრჩევლისათვის სავალდებულო არაა, რომ უსათუოთ ამ ბლანკებზე დასწეროს კანდიდატების სახელი და გვარები.

განცხადებები და კონვერტები ამომრჩევლებს პოლიციის ხელიც ბარდებათ. პოლიციელნი ვალდებული არიან პირდაპირ ამომრჩევლებს ჩააბარონ განცხადებები. თუ პოლიცია აღრესატს სახლში ვერ ნახავს, მარა თუ ის იცნობს აღრესატს და იცის რომ ის შართლაც ცხოვრობს ნაჩვენებ ადგილის და მხოლოდ დროებით არ არის სახლში, ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს განცხადება დაუტოვოს აღრესატის მახლობელ პირს ხელწერილის ჩამორთმევით. თუ ვერც აღრესატი ნახა და ვერც მის მახლობელ პირს გადასცა განცხადება, პოლიციელი მას დაუყონებლივ აბრუნებს უპრავაში მიზეზის აღნიშვნით.

იმ ამომრჩევლებს, რომლებიც მაზრაში ცხოვრობენ, ქალაქის უპრავა განცხადებებს და კონვერტებს უგზავნის იმ საშვალებით, რომელიც მას საუკეთესოთ შიაჩნია.

თუ ამომრჩეველს არ ჩაბარდა განცხადება, მას შეუძლია მოიკითხოს იგი ქალაქის უპრავაში, ხოლო უნდა წარადგინოს პიროვნების დამამტკიცებელი საბუთი ასეთს საბუთს იძლევა: პოლიცია, მომრიგებელი ან ქალაქის მსაჯული, ნატარიუსი, მღვდელი ან და მთავრობის, საზოგადოებრივი და წოდებრივი დაწესებულებები, რომლებშიაც ამომრჩეველი მსახურობს.

სახელობითი განცხადება არ შეიძლება სხვა პირს გადაეცეს, ის არის პიროვნების დამამტკიცებელი საბუთი, ურომლისოთაც არ შეუშვებენ მას

შენობაში, საღაც არჩევნები ხდება. ამომრჩეველმა თავისი სახელობითი განცხადება არჩევნების შემდეგ გაც უნდა შეინახოს, ვინცობაა დამატებითი არჩევნები მოხდეს.

განცხადების დაგზავნასთან ერთად ქალაქის უპრავა ნიშნავს იდგილს, საიდგანაც ამომრჩევლებს ეძლევა უსასყიდლოთ კონვერტები საარჩევნო ბარის თებისათვის, დაკარგული ან გაფუჭებული კონვერტების მაგიერ, კომისიისგან საარჩევნო ბინის შესავალში.

თუ ამომრჩეველმა დაკარგა ან ვერ მიიღო სახელობითი განცხადება, მას შეუძლია საარჩევნო ბინაზე შევიდეს პიროვნების დამამოწმებელ საბუთით. კომისიას უფლება აქვს, თუ ეჭვი შეეპარა ვისმეში, ასეთი საბუთის გარდა, სხვა საბუთიც მოსთხოვს მას პიროვნების დასამტკიცებლათ.

საარჩევნო კომისია შესდგება თავმჯდომარისა და ამომრჩეველთა წრიდან აყვანილ არა ნაკლებ სამი წევრისა. ყველა კომისიას შეუძლია თავისი წრიდან გამოყოს ქვეკომისიები, თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან მაინც შემდგარი, ბარათების მისაღებათ და ხმების დასათვლელათ.

კომისიის და ქვეკომისიის გადაწყვეტილებათა კანონიერებისთვის საჭიროა თავმჯდომრისა და ორი წევრის დაწრება მაინც. საარჩევნო ბარათი წარმოადგენს ჩვეულებრივი ფორმატის თეთრი საწერი ქალალდის მთელ ან ნახევარ (იმსა მიხედვით თუ რამდენი ვიბორშჩიკია ასარჩევი) ფურცელს.

საარჩევნო ბარათი რუსულ ენაზე უნდა იყოს შედგენილი, შეიძლება იყოს ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი, მარა მისი გარჩევა და ამოკითხვა ყოველ შემთხვევაში ადვილათ უნდა შეიძლებოდეს.

საარჩევნო ბარათში უნდა ეწეროს: კანდიდატების სახელი, მამის სახელი და გვარი და აგრეთვე მისი წოდება, ადრესი საცხოვრებელი ადგილის ან ის ნომერი, რომლითაც იგი საარჩევნო სიაშია შეტანილი. ბარათი უნდა იყოს სუფთა და არავითარი წარწერა, ნიშნები, გასწორება ან ამოფხეკა არ შეიძლება შიგ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბარათი უკანონოა და გამოირიცხება ხმებთა რიცხვიდან.

საარჩევნო ბარათს ამომრჩეველი ამზადებს ან წინდაწინ ანდა საარჩევნო ბინაზე, სადაც ამისთვის უნდა იყოს ცალკე ოთახი საწერი მოწყობილობით. ასეთ ოთახში ამომრჩევლები თითო-თითოთ უნდა შედიოდენ.

საარჩევნო ბარათში იმდენი კანდიდატი იწერება, რამდენიც ვიბორჩიკია ასარჩევი; ზედბეტი პირი მხედველობაში არ მიიღება. თუ ნაკლები იქნა შეტანილი, მაშინ ყველა ითვლება. ერთი და იმავე კანდიდატის სახელის განმეორების დროს, ანგარიშში მიიღება მხოლოდ ერთი ხმა.

გამზადებული საარჩევნო ბარათი უნდა ჩაიდოს ქალაქის თვითმართებლობის მიერ გაცემულ საარჩევნო კონვერტში. ერთ კონვერტში მარტო ერთი ბარათი ჩაიდება. კონვერტი უნდა დაიწებოს უბეჭდოთ. თუ კონვერტში რამოდენიმე ბარათი აღმო-

ჩნდება, ყველა გაუქმებულათ ჩაითვლება. კონვერტი, რომელზედაც ჭალაჭის უპრავის (ან მის მაგიერ დაწესებულების) ბეჭედი არ აზის, ან ისეთები, რომლებიც გახეული და გაფუჭებულია, არ მიიღება.

სახელმობითი განცხადებას და დაბეჭდილ კონვერტს საარჩევნო ბარათით ამომრჩეველი პირა. დათ აძლევს კომისიის ან ქვეკომისიის ოვენციალურებს, რომელიც გასინჯავს კონვერტს გარედმიდან და ამრჩევლის თვალწინ ჩააგდებს მას ყუთში, ხოლო სახელმობითი განცხადებიდან მოხევს კუპონს და დანარჩენს დაუბრუნებს ამომრჩეველს (უკუპონო სახელმობითი განცხადება დამატებითი არჩევნებზე გამოდგება, თუ ასეთი მოხდა). დარწმუნდება რა ამომრჩეველი, რომ მისი ბარათი ჩააგდეს ყუთში, გამოვა გარეთ.

საარჩევნო ბარათის მიცემა იწყება დილის 9 საათიდან და თავდება სალამოის 9 საათზე ვინც სალამოს 9 საათამდი საარჩევნო ბინაზე გამოცხადდა, მათგან ბარათები მიიღება, ხოლო შემდეგ გამოცხადებულ პირთაგან — არა. სანამ ბარათების მიღებას დაიწყებდენ, თავმჯდომარე აჩვენებს ამომრჩევლებს საარჩევნო ყუთს, რომ დარწმუნდენ იმაში, რომ ყუთი ცალიერია და გახვრეტილი არ არის. შემდევ ყუთი იკეტება და იბეჭდება, ხოლო იარლიკს, რომელსაც ბეჭედს ასვამენ, ხელს აწერენ თავმჯდომარე, კომისიის ან ქვეკომისიის წევრები და სურვილისამებრ ამომრჩევლებიც. სხდომის გათავების შემდევ ყუთის თვი, საიდანც ბარათები იდებოდა შიგ,

იბეჭდება, თავმჯდომარე აქვეყნებს კონვერტების
საერთო რიცხვს, ეს შეაქვთ ოქმში, რომელსაც
ხელს აწერს თავმჯდომარე და კომისიის ან ქვეკო-
მისიის წევრები. მეორე დღეს, სანამ ბარათების
თვლას შეუდგებოდენ, ათვალიერებენ ყუთს, მთე-
ლათაა დაცული თუ არა; რასაც აღნიშნავენ ოქმში.
ამის შემდეგ ითვლიან ბარათებს. არჩეულათ ითვლე-
ბა ის, ვინც აბსოლიუტურ (ე. ი. ნახევარზე მეტს)
უმეტესობას მიიღებს, ხოლო დამატებითი არჩევ-
ნებზე საკმარისია შედარებითი უმეტესობაც.

არჩევნების დღეს საარჩევნო ბინაზე, კიბეზე
კირიდორში და აგრეთვე ბინის გარეთ შესასვლელ
ადგილზე აკრძალულია მოწოდებათა გაკრა, საარ-
ჩევნო ბარათების, ბროშიურების და პლაკატების
დარიგება, სიტყვების წარმოთქმა და საზოგადოთ
ყოველგვარი საარჩევნო აგიტაცია. არჩევნების
გასაჩივრება ხდება საერთო წესით.

სახლმშეცო დუმის წევრთა არჩევნები.

მემამულეების, გლეხების, ქალაქის ამომრჩე-
ველთა და მუშების ვიბორშჩიკები იკრიბებიან ერ-
თად, ადგენენ საგუბერნიო კრებას და დანიშნულ
დღეს ირჩევენ დეპუტატებს.

კავკასია სულ ირჩევს 10 დეპუტატს. ამათში
ერთს ირჩევენ რუსი ამომრჩევლები, ერთს—თვილი-
სის გუბერნია, ერთს—ქუთაისის და ერთსაც ბათუ-
შის, ყარსის და სოხუმის ოლქები.

დეპუტატის არჩევის დღე ინიშნება უმაღლესი.

უჭაზით. საარჩევნო კრება იწყება დღის 12 საათზე და გრძელდება მანამდი, სანამ დეპუტატებს არ აი-რჩევენ. კრება შეიძლება შეწყდეს, მარა თვითეულ ჯერ ეს შეწყვეტა არ უნდა აღემატებოდეს 12 სა-ათს. ვინც 12 საათამდის არ გამოცხადდება, ის ხმას კარგავს, მას კრებაზე აღარ შეუშვებენ. კრე-ბაზე დასწრების უფლება მარტო ვიბორშიკებს და თავმჯდომარეს აქვთ, კრება კანონიერათ ითვლება, თუ მაზე გამოცხადდა რიცხვით არჩეულ ვიბორ-შიკთა ნახევარი მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში კრება ხელმეორეთ მოიწვევა 7 დღის შემდეგ და ის კანონიერათ ითვლება, რამდენი ვიბორშიკიც უნდა გამოცხადდეს.

თავმჯდომარე კრების გახსნისას კითხულობს კა-ნონებს არჩევნების წესის შესახებ და ვიბორშიკე-ბის სიას. შემდეგ აღგენენ ოქმს კრებაზე გამოცხა-დებულ ვიბორშიკთა შესახებ.

კრება ასახელებს კანდიდატებს ფარული ხმის მიცემით ბარათების შემწეობით. ამ კანდიდატებს შემდეგ რიგორიგობით, მიღებულ ბარათების რიც-ხვთა მიხედვით, გურება კენჭი. ვინც სამი ხმის ნა-კლები მიიღო, მის კანდიდატურას ხსნიან. არჩეუ-ლათ ითვლება, ვინც ნახევარზე მეტ ხმას მიიღებს, თუ ხმები შუაზე გაიყო, მაშინ წილს იყრიან.

თუ კენჭის ყრის შემდეგ აღმოჩდება, რომ ხმის საჭირო რიცხვი არავის მიუღია, ამ შემთხვე-ვაში არჩევნები მეორდება და არჩეულათ ჩაითვლე-ბა ის, ვინც სხვაზე მეტი ხმა მიიღო.

სახ. დუმის წევრათ შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ ვიბორშიიკების წრიდან რუსულის მცოდნე პირი, რომელმაც სურვილი გააცხადა კენჭის ყრაზე.

კანდიდატების მიერ მიიღებული შავი და თეთრი კენჭის რიცხვი იღინიშნება ცალკე საარჩევნო ფურცელზე. კრებას შეუძლია თავის წრიდან აირჩიოს ხმების დამთვლელნი თავმჯდომარის დასახმარებლათ, საარჩევნო ფურცელს თავმჯდომარე უკითხავს კრებას; მას ხელს აწერენ თავმჯდომარე და აგრეთვე სურვილისამებრ ვიბორშიიკები.

ამის შემდეგ კრება იხურება. თავმჯდომარე, არა უგვიავენს ერთი დღისა, არჩევნების შედეგს უდგენს გუბერნატორს, უკანასკნელი დაუყონებლივ აგზანის მას სახელმწიფო დუმაში, რომელიც თავისი მხრით უდგენს მას უმართებულესს სენატს გამასაქვეყნებლათ.

დეპუტატის არჩევნებს ამტკიცებს თვით სახ. დუმა, ამიტომ ყოველივე საჩივარი დეპუტატის უკანონოთ არჩევის შესახებ უნდა იქნას შედგენილი სახ. დუმის სახელზე და წარედგინოს გუბერნატორს ვ დღის ვადაში დღიდან არჩევნების დათავებისა. გუბერნატორი ერთი კვირის ვადაში ამ საჩივარს საარჩევნო კრების თავმჯდომარის შენიშნებითურთ უგზავნის სახ. დუმას.

სახელმწიფო დუმას შეუძლია გააუქმოს დეპუტატის არჩევნები; ამისთვის საჭიროა სახ. დუმის წევრთა ორი მესამედის ხმა.

საარჩევნო კამპანია.

საარჩევნო კამპანიის საწარმოებლათ და ვი-
ბორშეიკებისა და დეპუტატების არჩევნებისათვის
მოსამზადებლათ კანონით ნება დართულია საარ-
ჩევნო საზოგადოებათა დაარსება და საარჩევნო კრე-
ბის მოწვევა.

ასეთი საზოგადოება შეიძლება დაარსდეს ორი
გზით:

1. ე. შ. განცხადებითი (явочный по-
рядокъ) წესით. 4 მარტის კანონის ძალით გან-
ცხადება ეძლევა გუბერნატორს ან გრადონარი-
ნიკს და თუ ორი კვირის განმავლობაში მათგან
უარი არ მოვა, საზოგადოებას შეუძლია მოქმედე-
ბა დაიწყოს. პირველი კრების მოწვევის შესახებ
მან უნდა შეატყობინოს პოლიციას.

2. წესდებიანი საზოგადოების და-
არსება. ამისთვის საჭიროა საზოგადოების წესდე-
ბის შედგენა და გუბერნატორის ან გრადონალ-
ნიკისათვის წარდგენა. წესდებას და მის კოპიოს უნ
და დაეკრას იმდენი 75 კ. მარკა, რამდენ ფურ-
ცელ ქაღალზედაც ისინი დაწერილი იქნება; განც-
ხადებას თან უნდა ახლდეს ორი 75 კ. მარკა და
კვიტანცია ხაზინაში 3 მ. 20 კ. შეტანის შესახებ
წესდების „სენატის განცხადებებში“ და 1 მან. „სა-
გუბერნიო უწყებებში“ დასაბეჭდათ. განცხადებას
და წესდებას ხელს უნდა აწერდეს ვ პირი მაინც.

საარჩევნო დებულების თანახმათ, დღიდან ამომ-
რჩეველთა სიის გამოქვეყნებისა, ამომრჩეველთ და

ვიბორშჩიკებს ნება ეძლევათ შეადგინონ განსაკუთ-
რებული კრებები კანდიდატებზე მოსალაპარაკებლათ
ამომრჩევლებმა და ვიბორშჩიკებმა, რომელთაც
სურთ ასეთი კრების გამართვა, უნდა განუცხადონ
ამის შესახებ დროისა და ადგილის აღნიშვნით ად-
გილობრივი პოლიციის უფროსს არა უგვიანეს 24
საათისა კრების გამართვამდი; განცხადებაში უნდა
მოხსენებულ იქნას კრების გამმართველთა სახელი
და გვარები. ამომრჩეველთა კრებაზე დასწრების უფ-
ლება აქვს მარტო ამომრჩევლებს და თავმჯდომა-
რეს. ვიბორშჩიკების კრებას ესწრება მარტო ვიბორ-
შჩიკები და თავმჯდომარე.

ადგილობრივი პოლიციის უფროსი ამომრ.
კრებაზე გზავნის დასასწრებათ პოლიციის მოხელეს.
მას უფლება აქვს კრების დახურვა მოითხოვოს,
რაც თავმჯდომარემ უნდა შეასრულოს. პოლიციას
შეუძლია კრება შემდეგ შემთხვევებში დახუროს:

„1) როცა კრება აშკარათ დაშორდა თავის
საგანს; 2) როცა კრებაზე წარმოითქვა მსჯელობა,
რომლიც მცხოვრებთა ერთ ნაწილს მეორეს წი-
ნააღმდეგ აშედრებს; 3) როცა კრებაზე ნება დაურ-
თულათ ფულს კრებენ; 4) როცა კრებაზე დაესწრე-
ბა ისეთი პირები, რომლებსაც ამის უფლება არ
აქვთ და როცა ეს პირები კრებას არ დატოვებენ
ან მათ იქიდან არ გააძევებენ და 5) როცა კრების
წესიერება დაირღვა ამაღლვებელი ხმაურობით ან
განცხადებით, დანაშაულობის შექებით ან გამარ-
თლებით, ძალმომრეობისადმი წაქეზებით, ან მთავ-

რობის წინააღმდეგ ამხედრებით, ანდა კიდევ უკა-
ნონო მოწოდებების ან გამოცემების გავრცელე-
ბით, და როცა ყველა ამაების გამო კრებამ მი-
იღო ისეთი სახე, რომ ემუქრება საზოგადოებრივ
წესიერებასა და მშვიდობიანობას“ (81 მუხ.).

ვიბორშჩიკების კრებაზე დასწრების უფლება
პოლიციას არ აქვს, მარა მას ევალება უთვალთვა-
ლოს, რომ გარეშე პირები არ შევიდენ ასეთ კრე-
ბაზე.

მეთვალყურე ორგანოები.

გარდა იმისა, რომ პოლიციელები მოკლებუ-
ლი არიან საარჩევნო უფლებას იქ, სადაც ისინი
მსახურობენ, მათ ეკრძალებათ რაიმე ძალდატანება
მოახდინონ ამომრჩეველთა ნებაზე ან ჩაერიონ სა-
არჩევნო საქმეში. საკმაოა ერთი რომელიმე, პოლი-
ციელის დასწრება არჩევნებზე, რომ მთელი არჩევ-
ნები გაუქმდებულ იქნას.¹⁾ კანონით არჩევნებმა უნ-
და გამოხატოს ამომრჩეველთა თავისუფალი ნება.
ამიტომ იმაზე თვალყურის გდება, რომ არჩევნები
სისწორით სწარმოებდეს, ევალება არა პოლიციას,
არამედ ამისთვის ცალკე შექმნილ ორგანოებს, რო-
გორიც არიან მაგალითად, საგუბერნიო და სამაზრო
საარჩევნო კომისიები.

ამ კომისიების მოვალეობაა თვალყური იღევნ-
ონ, რომ არჩევნები წესიერათ ჩატარდეს და განი-

¹⁾ გარდა იმ შემთხვევისა, როცა მამასახლისი თავში-
დომარეობს ყრილობას.

ხილონ საჩივრები უკანონო არჩევნების შესახებ.

კავკასიაში ეს კომისიები არსდება შემდეგ ოდ-
გილებში: 1) ბაქოს გუბერნიაში, რომელსაც ემორ-
ჩილება დაღესტანისა და ზაქათალის ოლქები, 2)
ქუთაისის გუბერნიაში, რომელსაც ემორჩილება ბა-
თუმისა და სოხუმის ოლქები, 3) განჯის გუბერნია-
ში, 4) თფილისისაში, 5) ერევნის გუბერნიაში, რო-
მელსაც ემორჩილება ყარსის ოლქი და 6) ყუბანისა
და თერგის ოლქებში, პირველს ემორჩილება შავი
ზღვის გუბერნია.

საგუბერნიო და საოლქო კომისიები შესდგება
საოლქო სასამართლოს თავმჯდომარისა, სახაზინო
პალატის გამგის, იმ მაზრის თავადაზნაურთა წინამ-
ძლოლისა, რომელშიაც საგუბერნიო ქალაქია, სა-
ოლქო სასამართლოს ერთი წევრისა, რომელსაც
მისი საერთო კრება ნიშნავს, საგუბერნიო ან საოლ-
ქო ქალაქის მოურავისა და საგუბერნიო საგლეხო
საქმეთა საკრებულოს ერთი მოხელისაგან, რომელ-
საც გუბერნატორი ნიშნავს. თავმჯდომარეობს ამ
კომისიას საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე.

სამაზრო კომისიის წევრებია: საოლქო სასა-
მართლოს წევრი, არჩეული საერთო კრების მიერ,
მაზრის თავადაზნაურთა წინამძლოლი, სამაზრო ქა-
ლაქის მოურავი და ხარჯების ამკრები ინსპეკტორი,
მომრიგებელი მოსაშვალე და მომრიგებელი მოსა-
მართლე, რომელთაც შესაფერი მართებლობა ნიშ-
ნავს.

სადაც მაზრის თავადაზნაურთა წინამძლოლები

არ არიან, იქ მათ მაგიერ ნამესტნიკი ნიშნავს ერთ-ერთ მემამულეთაგანს.

სადაც მომრიგებელი მოსამართლენი არ არიან, იქ მათ მაგიერ კომისიაში მონაწილეობენ სხვა თანამდებობის პირნი, მარა იმ პირობით კი, რომ ეს პირები არ იყვენ საარჩევნო სიების შემდგენელნი ანდა პოლიკიის წევრნი.

სამაზრო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება საგუბერნიო კომისიაში შეიძლება, ხოლო ამ უკანასკნელის — უმართებულეს სენატში, რაც უნდა მოხდეს სამი დღის ვადაში დღიდან გადაწყვეტილების გამოქვეყნებისა¹⁾

სენატისა და შინაგან საჭრეთა მინისტრის ზოგიერთი განმარტებები.

სენატის განმარტებით ადმინისტრატორულათ და სჯილები საარჩევნო უფლებას არ კარგავენ. არც დაჭრა და ციხეში ჯდომა შეიძლება თავის თავად გახდეს მიზეზი საარჩევნო უფლების დაკარგვისა. ამ უფლებას მოკლებული არიან მხოლოდ ის პირები, ვინც გაასამართლეს (და სრულიად არ გაამართლეს) და ვინც პასუხის გებაშია მიცემული ისეთი კანონის ძალით, რომელიც გულისხმობს უფლების ახდას. ასეთი პირები საარჩევნო უფლებას კარგავენ უკვე იმ წამიდან, როცა ის პასუხის გებაში მისცეს ანუ უკეთ რომ ვთქვათ, როცა დაადგინეს მისი პასუხის გებაში მიცემა (იხ. სენატის განმარტებები 1906, 1907, 1908 და 1911 წწ.).

როცა ამომრჩეველს რამოდენიმე ალაგას ან სხვადასხვა კურიაში აქვს ცენზი, მას შეუძლია თავისი აქტიური საარჩევნო უფლება (ვ. ი. უფლება,

¹⁾ დებ., მუხ. 167—171.

რომ აირჩიოს) მხოლოდ ერთ-ერთ ადგილას განახორციელოს, ვინაიდან კანონით ერთი ხმის შეტი არავის აქვს; რაც შეეხება პასიურ საარჩევნო უფლება (ე. ი. უფლებას, რომ ის არჩეულ იქნას), ამაში იგი არ არის შეზღუდული და სენატის განმარტემით შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატურა ყველა იმ ადგილებში და კურიებში, სადაც კი მას შესაფერი ცენზი მოეპოვება (1907 წ. სენატის უქაზი).

შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებით საარჩევნო კანონის მე—13 და მე—14 მუხლებში მოხსენებულ პირებს შეუძლიათ გადასცენ თავიანთი უფლება შვილებს ან ქმრებს მხოლოდ უძრავ ქონებათა ცენზით, ხოლო რაც შეეხება სხვა გვარ ცენზებს, ამათი გადაცების უფლებას ისინი მოკლებული არიან.

ადმინისტრატიულ პირებს არ შეუძლიათ თავიანთი უფლებით გაასწორონ სიები. თუ რაიმე უკანონობას შენიშნავენ სიებში, მათ შეუძლიათ ამის შესახებ აცნობონ სამაზრო და საგუბერნიო საარჩევნო კომისიებს.

არჩევნებში მონაწილეობისათვის საჭიროა მხოლოდ უძრავ ქონებათა ფაქტიური მფლობელობა და სრულიად არა საჭირო, რომ მფლობელი უსათუოთ იმყოფებოდეს იქ, სადაც ეს ქონებაა.

ის პირები, რომლებსაც სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა კურიაში აქვთ ცენზი, საარჩევნო სიებში ყველგან შეტანილ უნდა იქნან, ხოლო თუ რომელ ადგილას ან რომელ კურიაში განახორციელებენ თავიანთ უფლებას, ამის შესახებ სიების გამოქვეყნების შემდეგ განცხადება უნდა შეეიტანონ საარჩევნო კანონში.

გუბერნიაცია და ოლქების პიმორშიკთა რიცხვი.

გუბერნიის, ოლქის,
მაზრის, კუთხის და
განყოფილებათა სა-
ხელები.

| კუბერნატორი საქართველო ტერიტორია | გენერალი გენერალი | ამათ რიცხვი | ში |
|--|----------------------|----------------------|----------------------|
| გენერალი გენერალი | გენერალი გენერალი | გენერალი გენერალი | გენერალი გენერალი |

თვითისის გუბ.

| | | | | | |
|-------------------------|----|----|----|----|---|
| თვითისის მაზ. | 12 | 1 | 3 | 8 | |
| ახალქალაჭის „ | 5 | 2 | 2 | 1 | |
| ახალციხის „ | 4 | 1 | 2 | 1 | |
| ბორჩალოს „ | 7 | 1 | 6 | — | |
| გორის „ | 10 | 2 | 7 | 1 | 2 |
| დუშეთის „ | 4 | 1 | 2 | 1 | |
| სიღნალის „ | 5 | 2 | 2 | 1 | |
| თელავის „ | 5 | 1 | 3 | 1 | |
| თიანეთის „ | 3 | 1 | 2 | — | |
| | 57 | 12 | 29 | 14 | 2 |

ქუთაისის გუბერნია

| | | | | | |
|--------------------------|----|---|----|---|--|
| ქუთაისის მაზრა | 9 | 2 | 4 | 3 | |
| ზუგდიდის „ | 5 | 1 | 3 | 1 | |
| ლეჩეუმის. „ | 3 | 1 | 2 | — | |
| ოზურგეთის „ | 5 | 1 | 3 | 1 | |
| რაჭის „ | 4 | 1 | 3 | — | |
| სენაკის „ | 6 | 1 | 3 | 2 | |
| შორაპნის „ | 6 | 2 | 4 | — | |
| | 38 | 9 | 22 | 7 | |

ყარსის ოლქი.

| | | | | | |
|-----------------------|---|---|---|---|--|
| ყარსის კუთ. | 5 | 4 | — | 1 | |
| არდალნის „ | 3 | 2 | — | 1 | |
| ყაგიზმან. „ | 3 | 2 | — | 1 | |
| ოლთის „ | 2 | 1 | — | 1 | |

გათუმამის და სოცელმამის
ოლქები.

| | | | | | |
|------------------------|---|---|---|---|---|
| გათუმამის კუთ. | 6 | 1 | 2 | 3 | |
| ართვინის „ | 3 | 2 | — | 1 | |
| სუხუმის „ | 5 | 2 | 2 | 1 | 1 |

პავლესის დეპუტატები

მისამა სახ. დუგაში.

გებერჩერი, ევგენი პეტრეს ძე, სოციალ დემოკრატი ქუთაისის გუბერნიიდან.

ნევაძე, კარლო სიმონის ძე, სოც. დემ. თფილისის გუბერნიიდან.

შერგაშვილი, თ-დი პრაკოფი ლევანის ძე, პროგრესისტი, ბათუმის, სოხუმის და ყარსის ოლქებიდან.

სალათელიანი, იოანეს ნიკოლოზის ძე, შრომის ჯგუფის წევრი ბაქოს, განჯის და ერევნის გუბერნიებიდან.

ხასბამედოვი, მუსულმანთა ფრაქციის წევრი (იმავე ადგილებიდან.)

ჭავასაჩვანი, ნიკიტა ვასილისძე, ნაციონალისტი თერგის კაზაკთა არჩეული.

ბორდიჟი, კონდარტე ლუკას ძე კონ. დემოკრუბანის ოლქის კაზაკთა არჩეული.

პოგრაგსგი მე—2., ივანე პეტრეს ძე, სოც. დემოკრატი შავი ზღვის გუბერნიის, ყუბანის და თერგის ოლქების არა კაზაკთა მცხოვრებლების არჩეული.

ტამაშვილი, თედორე ფედოტეს ძე, მემარჯვენე ამიერკავკასიის რუს მცხოვრებთა არჩეული.

32

b 366